ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

11
ივნისი
1989

— ეს მომწამვლელი გაზი მიასხი და ჩაძვრება უკან!..

ნახ. მურთაზ აბაშიძისა და ჯემალ ლოლუასი

გურამ კლდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა ლექსი — 9 აპრილს

9 აპრილი

ამ დღეს დიდხანს არჩევდნენ,
რომ გველვარა სისხლი,
არ გეგონოთ, გაჩერდნენ, —
ისევ ღრენა ისმის!..

მამულში რომ ვირჩევდით
და ვუყოფდით ლუკმას,
„სი-ესით“ და ნიჩბებით
მოგვეპარნენ უკან!..

ათასწლობით გვიცლია
ბოღმით სავსე თასი!..
ქართველებმა იციან
დაღვრილ სისხლის ფასი!..

ახლა, როგორც არასდროს,
მუშტად ყოფნა გვმართებს!
კარი მაგრად ჩავრაზოთ,
მტერი მამულს გვართმევს!..

რუსთაველზე გავლისას...

რუსთაველზე გავლისას
გავიაროთ ამაყად,
რომ საქვეყნოდ გაისმას
ვინც გვყავდა და აღარ გვყავს!

რუსთაველზე გავლისას
არ გვექნება ხალისი,
შეშურდება კრწანისსაც
ეს ახალი კრწანისი!

რუსთაველის გამზირზე
გავატაროთ შვილები,
საიდანაც გაზიდეს
ჯვარცმულ-ნაშიმშილებნი!

რუსთაველზე გავლისას
ყველამ უნდა იცოდეს,
ქართველისთვის რას ნიშნავს
მამული და სიცოცხლე!

რუსთაველზე გავლისას
ნურვის დაავიწყდება, —
მომავალი ქართვლისა
იქ სიკვდილით იწყება!

ქალწულებს და ქალბატონებს!

დაიღუპა თექვსმეტი
ქალი!..

ეს რა ბრძოლა შეგძლებიათ
ქალწულებს და ქალბატონებს,
საქართველო დღეგრძელია, —
არვინ რომ არ აბატონეთ!

მამულისთვის თავდადება
უკვდავებად გერგოთ წილად,
გსურდათ შვილთა გამრავლება
გეზარათ და გექორწინათ!

გაგყვათ დიდი სინანული
ქალწულებს და ქალბატონებს, —
დედობა და სიყვარული
ზვარაკად რომ აქ დატოვეთ!..

ეს დღეებიც წავლენ უცბად,
გვრჩება თქვენი თავგანწირვა!..
დიდ ქეთევან წამებულთან
თქვენც წამებამ დაგაწყვილათ!..

თქვენებური ლოცვით, რწმენით,
მოებაძოთ დანატოვრებს!
თავებს გიხრით მოწიწებით
ქალწულებს და ქალბატონებს!..

ლალადი

შეისმინეთ, შვილებო,
ქართვლის დედის ლალადი:
დღეს შიმშილით სიკვდილი
არის ქვეყნის ღალატი!

საქართველოს ასუსტებს
თქვენი შიმშილ-წყურვილი,
უნდა იყოთ ძლიერნი,
რომ აგიხდეთ სურვილი!

საქართველოს მომავალს
მგლის მუხლებით სჭირდებით,
აბა, ღონემიხდილნი
ვილას შეეჭიდებით?!

თქვენ თუ არა, ვინ დახვდეს
ნიჩბებსა და საწამლავს?!
თქვენ თუ აღარ გვეყოლეთ,
ჩვენ უთქვენოდ სად წავალთ?!

თქვენ თუ არა, ვინ შეხვდეს
ტანკებს გულისფიცარით?!
რუსთაველის გამზირზე
თქვენ ხომ მამულს იცავდით!

თქვენ თუ არა, ვინ შეძლოს
დედობა და მამობა?!
ქუდზე კაცის ძახილზე
თქვენს გარდა ვინ გამოვა?!

ვის რად უნდა მამული
უმწეო და უთქვენოდ?!
თქვენ თუ არა, მასზე ფიქრს
ღამე ვინღა უთენოს?!

შეისმინეთ, შვილებო,
ქართვლის დედის ლალადი:
დღეს შიმშილით სიკვდილი
არის ქვეყნის ღალატი!

დედა-შვილს

დაიღუპა ფეხმძიმე
ქალი

ერთმანეთის ჯუნახავი
დედა-შვილი გქვიათ,
რუსთაველზე ამოსულნი
ყაყაჩოდ და იად!..

დედა მყავსო, შენ უნდა თქვა,
ერთადერთო შვილო!
შვილი მყავსო, შენ უნდა თქვა,
დედავ, თმებგაშლილო!

უკვდავება თქვენისთანა
დედა-შვილებს ეძებს, —
პირველები რომ დაეცით
იმ დაწყევლილ ქვებზე!..

ერთში ბედი კი გქონიათ,
თუ ბედია ისიც, —
რომ არ ნახეთ ერთმანეთის
ცხედარი და სისხლი!..

საქართველოს მოძულენი
თავს დაგატყდნენ მეხად!..
ნაომარი დედა-შვილი
ერთ საფლავში წევხართ!..

ცოცხლები ვართ დღეს!..

25 წლის გია ქარსელაძე მოკლეს კომენდანტის საათის
დროს

ქვეყნად შენი გაჩენა
იყო ძლიერ მოკლე!..
ეს რა გიქნეს ლაჩრებმა, —
ბრძოლის შემდეგ მოგკლეს!

ვით შეუნდოს გამჩენმა
შენი სისხლის მომკელს?!.
ეს რა გიქნეს ლაჩრებმა:
მშვიდობის დროს მოგკლეს!

მამულს, შენი კაცობით,
ატარებდი ჯუბით!..
ტყვია, მისკენ ნასროლი,
შეაჩერე შუბლით!..

ნეტავ ერთი მაჩვენა,
ვინ გესროლა ბოკვერს?!.
რა იციან ლაჩრებმა, —
მაინც რომ ვერ მოგკლეს!..

ვალი

დათო ფაილოძემ თვალისჩინი დაჰკარგა...

წმინდა რწმენას შეწირულო,
ფაილოძე დათო,
ერთადერთო, ვინც ერისთვის
ორთავ თვალი დათმო!..

საქართველოს სიყვარულმა
დაბრმავება იცის!..
შენდარებზე უმღერიათ, —
გვარზე ხტისო კვიცი!

ო, რა ადრე გაისტუმრე
ქვეყნის დაცვის ვალი!
რომელ მზებნელს შეუძლია
გაგისწოროს თვალი!..

ვიცი, ულვთო წამებაა
უსინათლოდ ჯვარცმა, —
ცოცხლობდე და ვერ ხედავდე
ამ მიწას და ამ ცას!

მაგრამ სულით არ დაეცე,
ღმერთი ძალას მოგცემს,
წმინდანივით დაგიგულებს
თვალდაშრეტილ მლოცველს!

მეც ამ ლექსით ვანუგეშებ
შენს მამას და დედას!
შენ ვერ ხედავ საქართველოს,
საქართველო გხედავს!..

ახლა

ნაწამები, მშივრები!..
სათქმელია ადვილად!
მიწაშია შვილები,
მე კი ფეხზე დავდივარ!..

დარცხვენილი თვალებით
მწარე ცრემლი დამდივა!!
დაიხოცნენ ქალები,
მე კი ცოცხლად დავდივარ!..

გადუხდელი ვალები
ისევ ისე ბევრია!..
შეისვენეთ, ქალებო,
ახლა ჩვენი ჯერია!..

ვინ?!.

ჯვარი ხარ თუ მოწამეთა,
კაცი ხარ თუ ქალი, —
სიდან მოდის მომწამვლელთა
სისხლიანი კვალი?!.

ვინ გალეწა ბარ-ნიჩბებით
ქართველების კალო?!
ლამის ბოღმით დავიხრჩვებით! —
სანამ უნდა მალონ?!

ვინ დაესხა თბილის-ქალაქს?!
რა გვმართებდა სხვისი?!
ვინ გვიმუხთლა, ვინ მიქარა,
ვის მოსწყურდა სისხლი?!

ჯვარი ხარ თუ მოწამეთა,
კაცი ხარ თუ ქალი, —
უნდა ვძებნოთ მომწამვლელთა
დამალული კვალი!..

ნუ გაჰყიდით!


ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ზოგიერთ რაიონში მიწებს ფულიანი უაჩალები დაეპატრონენ“.

„ლიტერატურული საქართველო“ (17. II. 1989 წ.)

იყიდება ჩვენი მიწა თურმე ჩუმად და მალულად,
უცხო თესლი ღმერთსა მადლობს, სიხარულით გაბადრულა!..
იყიდება ქართლ-კახეთში, მესხეთ-რაჭა-იმერეთში...
შენ, ქართველო, ეს რა მოგდის, გულს თვითონვე იგლეჯ
მკერდში?!

საქართველოს, ბევრჯერ დაჭრილს, ბევრი ოხრის გადამკიდეს,
აღარ ეყო, ნაჭერ-ნაჭერ რაც არიგეს, რაც გაყიდეს?
იმ მიწაზე, შენ რომ ყიდი ოცდაათი ვერცხლის ფასად,
ბევრჯერ იყო ბრძოლა დიდი, სისხლის წვიმა, სისხლის
თავსხმა!..
მოდიოდნენ ხროვად, კოლტად, უსულთნოდ და სულთანთანა,
იყო კვნესა, სულის კოდვა, სულის ლევა, სულთათახა!..
ჩვენს მიწაზე კიდით კიდე ძვლები არის დანაწინდრი!..
შენ ეზო-კარს კი არ ყიდი, წინაპრების ძვლებსა ყიდი!
როგორ ყიდი?! როგორ ბედავ?! სად წაიღე გული, სული?!
ვაზი აღარ გენანება, პაპის სისხლზე ამოსული?!
ნერგი აღარ გენანება, ბებიის ძვლით ფესვგადგმული?!
გინდა იქცეს სხვის მამულად ეს მიწა და ეს მამული?!
საქართველო მუდამ იყოს ქართულ სიგრძე-განიანი,
ქართლელიან-კახელიან-იმერლიან-სვანიანი,
რაჭველიან-აჭარლიან, მეგრელიან-მესხიანი...
საქართველო ეზოშია, საქართველო მარანშია,
საქართველო ზვრებში არის

საქართველო სოფელია, სადაც ვხნავთ და სადაც ვრთველობთ!
ქართულ მიწას ნუ გავყიდით! ნუ გავყიდით
საქართველოს!

ნოდარ შამანაძე

მაყუთ-ვიზმები

● **ფულს** ისე ჩაუჯიბავენ, არ დასჭირდება ავიზო, თავი კვლავ ცარიელი აქვს, ფულით ყელამდე აივსო.
● **ერთი** ძმა იდეურია, მეორეს ფორმა აცვია, მესამე საშოვარზეა, სამად ყოფს, რაც ნაძარცვია.
● **ფულის** ყადრი რომ ისწავლა, ცოლი ახვარებს მიუგდო, თვითონ რომ აქეთ შარაფობს, ცოლი იქ სწავლობს ძიუდოს.
● **კოოპერატორ** სქელშუბლას სინდისის ძარღვი არ ჰქონდა, ფაქტურაც, პრეისკურანტიც ჯერ არ მოსვლოდა ბაქოდან.
● „**ფულს** სუნი არ აქვს“, — ვინა თქვა?.. ახლა ირკვევა ნამდვილი, კაცს სამსახური ჰგონია, არის კი ფეხის ადგილი.
● **გახსნა** არტელი, შიგ დაჯდა ცრუ მეცნიერის იერით, ტვინისა რა მოგახსენოთ, მხოლოდ მადა აქვს ძლიერი.
● **ბალახბულახს** კრეფს, დასცინის ნო-შპას, ვალიდოლს, ფტივაზიდს, წვნიანის ჭამას უკრძალავს, ხალხი გადაჰყავს თივაზე.
● **ქვეყანას** ეპატრონება, ტაძრებს აშენებს, ქტიტორობს, თაობებს გზაზე აყენებს, ძვირფასად რეპეტიტორობს.
● **აქვს** დიდი თანამდებობა, შინ გახსნა კერძო პრაქტიკა, ვიზიტში ოცდაათ მანეთს ყოველ პაციენტს აშვლიპავს.
● **საქმეში** წილი ეკუთვნის, ღუნავს და ღუნავს „მაყუთებს“, გამოვა, ხელებს დაიბანს და ხატებს სანთლებს აუნთებს.
● **აქვს** უამრავი ნიღაბი, კვრინჩხს მოგაჩვენებს ტყემალად, ერთგან კი მაინც უტყდება — უსინდისობას ვერ მალავს.
● **ნალები** მუდამ მისია ყველა წესით და ადათით, ახლა ფულები მოჰყირჭდა, სურს დეპუტატის მანდატი.

ელგუჯა მერაბიშვილი



რჩევა-დარიგებანი მედროვეს

ჯოხი რომ გირტყან, უნდა ითმინო
და აკანტურო თავი ვაცივით!..
თქვი, რომ ხარ ყვავი, არა მიმინო
და მით უმეტეს — არა არწივი!
უფროსის კარი აღე ლაქუცით
და მასთან შედი კუდის ქიცინით!..
ვერ გაგიწითლებს სიფათს ლაკმუსიც,
როს თვალთმაქცობ და ცალყბად იცინი!
უფროსთან იჯექ, როგორც თაგუნა,
იგი იწამე ღმერთად და მოძღვრად,
თუ თავში ხელი წაგიტყაპუნა,
შენ მას მადლობა უთხარი მორცხვად!
თუნდაც პანღური ამოგკრას ზოგჯერ,
გაგინოს დედა, ცოლი და შვილი,
უნდა იყურო და უნდა მოჯდე,
რომ არ დაკარგო ადგილი თბილი!
ოღონდ არამი ფული გაგიყოს,
იყურე, თუკი გიწოდებს კრეტინს!
იქნებ შენს ცოლსაც გაეარშიყოს,
არ გაბრიყვდე და არ დაძრა კრინტი!
ეს შენთვის არის ძალზე საჭირო,
რომ ელაქუცო გაბღენძილ „იჩებს“!..
თუ გსურს, ოჯახი მსუყედ არჩინო,
თუ გსურს, ის სკამი რომ გადაგირჩეს,
ხშირ-ხშირად უნდა ირტყამდე სახრეს,
მოერგო ყველა ბოთლსაც საცობად,
მალ-მალე უნდა იცვლიდე სახეს,
რომ ვერ მიგიხვდნენ არაკაცობას!
თუ საჭიროა, მყის უნდა გაძვრე
ყველა ხვრელსა და ჭუჭრუტანაში,
ღორივით უნდა თქვლიფო და გაძღე,
თან შეძლო კაცის როლის თამაში!
არ შეგრცხვეს, მიდი, თავს ლაფი ისხი,
ეძმე სულმდაბალს, ბრიყვსა და ბოროტს,
მაინც არა გაქვს სული და სისხლი
და დაემგვანე ბოლომდე რობოტს!
თუ შეეგუე იოლ ცხოვრებას,
შენ ყველაფერი იკადრო უნდა!
ისე, მამაჩემს ჰქონდეს ცხონება,
ფული ყელამდე გექნება მუდამ!
თუმცა ხუმრობით ვამბობთ ხანდახან,
მაგრამ ნათქვამი ეს გახლავს ბრძნული:
„თუ ფული არ გაქვს, კაცი არა ხარ,
და თუ კაცი ხარ, არა გაქვს ფული!“
შენ კი, რადგანაც არა ხარ კაცი,
დე, ფული მაინც გქონოდეს ბლომად!
თუმც აკანტურებ თავს, როგორც ვაცი,
შენ მოგნათლავენ ხანდახან ლომად!
იყავი ბილწი, ფლიდი, ცვედანი! —
სხვაფრად ცხოვრება შენთვის ძნელია
(ლომები მიტომ დარჩნენ ცოტანი,
რადგან მომრავლდა შენებრ მელია!).
ნუ ჩამოიხსნი კაცობის ნიღაბს
და დაგიფენენ ბევრგან ხალიჩებს,
იცხოვრებ მსუყედ, მოკვდები... ვიღაც
კარგ ნეკროლოგსაც გაგიჩალიჩებს!..
შეეშვი სახელს და წარსულს მდორეს,
სახელი შენთვის მაინც მტვერია
(ცოტაა კაი კაცები, თორემ
შენისთანა ხომ ქვეყნად ბევრია!).
ყოჩაღ, თუ გქვია დავითი, ცოტნე,
ან ამირანი, ან ტარიელი,
აჯობებ შენზე ჭკვიანს და მცოდნეს
ჯიბესავსე და თავცარიელი!
არვინ იქნება შენი მძრახავი,
თუკი ხელიდან ნელა წახვედი!..
თუ გინდა, გქონდეს კარგი სახრავი,
რაში გჭირდება კარგი სახელი?
თუ ხარ ბრიყვი და სიბრძნეს ვერ აფრქვევ,
ეს შენთვის ბევრად უფრო კარგია, —
გაპატიებენ თითქმის ყველაფერს,
ოღონდ ყველასთან იყავ ლაქია!
ეჰ, ჯერ შენკენ ხრის სასწორს თემიდა,
ცხოვრების ტახტზე რქებით ყირაობ,
თუმც შეგშურს ჩემი ლაღი ფრთების და
თუმცა გაშინებს ჩემი რირაო!
ვინ ახარისხებს კაცს და არაკაცს,
მაინც ყველა ერთ ტაფაში ვიწვით!..
შენ ნუ მოაკლებ მუცელს ბარაქას,
იცხოვრე ყვლეფით, ხვეჭით და სიძვით!..
მიდი, იხვეჭე, სანამ გაქვს გეში,
რომ მარიფათი არ დაგიძრახონ!..
იქნება ერთ დროს შენც სანაგვეში
ზედმეტ ბარგივით გადაგიძახონ!

ბედის ირონია

ბრძოლის ველზე არ გავსულვარ არსად,
დღემდე მაინც ბევრი მიბრძოლია!..
ვისაც ვეძმე, ის გამიხდა თარსად! —

ესეც ჩემი ბედის ირონია!
ვერ ავუწყვე ფეხი ყველას ნაბიჯს
და მივყვები გაუკვალავ ბილიკს,
ყველა ბრიყვი და რეგვენი მჯაბნის,
ჩუმად ვისმენ მათ ჭორსა და ქილიკს!..
ვიჭაბუკე სულ სიკეთის ფანტვით,
სიყვარულის ლოდინს შევაბერდი!..
ვერ ვისწავლე საეშმაკო ფანდი! —
ესეც ირონია ჩემი ბედის!
სიმსუყეში თითქმის ბევრმა მძლია,
სიყვარულში ყველას გავეჯიბრე,
არვინ უსმენს ჩემს სავსე გულს მზიანს,
უყურებენ ჩემს ცარიელ ჯიბეს!
მოყვრისათვის გამიმართავს ხელი
და ისარი მტრისთვის მისროლია!..
დავისაჯე, რომ ვარ ასე წრფელი! —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
ვგავარ უცებ აფეთქებას ატმის,
სულ ზღვასავით ვბობოქრობ და ვღელავ!
ბევრმა მიმტრო და დამიდო კვანტი,
მე ფაქიზად ვესათუთე ყველას!
ვპოულობდი საძმოდ ბედის გზებზე
გულით ნათელს, სულით მირონმზიანს!
ასეთ კაცებს ახლა სანთლით ვეძებ! —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
მე სხვებივით ვერ ვიკეთებ ნიღაბს
და სიმართლე ჩემი მირონია!
ალალი და წრფელი უნდა ვიღას? —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
თუმც გული მაქვს ყველასათვის ღია,
ვით ავავსებ სხვების ღარიბ სულებს?
მომხვეჭელს რომ ეძახიან ჭკვიანს,
მე აშკარად მიწოდებენ სულელს!
უსცენობა მე მომიღებს ბოლოს,
საჩემო კი მარტო ის როლია,
რასაც ჰქვია ნაღდი კაცი მხოლოდ! —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
გამწყვეტია ვიდრე შუბლის ძარღვი,
ჩემს ძნელ გზაზე მაინც ასე ვივლი!
ყველა გლახა, ყველა მამაძაღლი
დაე, იყოს კმაყოფილი იღბლის!
მდაბიოთა ქირქილი და ჭორი
თუმცა მიხშობს სულის სიმფონიას,
ოცნებებით დავდგი კოშკი ბრძოლის! —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
რწმენის ბაღში როცა გავიბადრე,
ჩემი გზები მაშინ გადაკეტეს!..
ვისაც მაგრად ტაშს ვუკრავდით ადრე,
დღეს მას ვუშენთ მუშტებსა და კეტებს!..
ვისიც მწამდა და მჯეროდა ნაღდად,
მისი ხსოვნა გავატანეთ ნიავს,
და ვინც მძულდა, მაყვარებენ ახლა! —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
სიყვარულში არ მქონია შიში
და ბავშვივით თითქმის ყველას ვენდე!
შოთას, ვაჟას და ილიას ჯიშის
საქართველო — მსურს ამაღლდეს მზემდე!
ჩემი ფიქრი, დარდი უსასრულო
სვეტიცხოველ-ჯვარი-სიონია
და თუ ვინმე ქართველობით მწუნობს, —
ესეც ჩემი ბედის ირონია!
ძნელი არის სულში ზრდიდე იებს,
ეკლის მოვლა უფრო იოლია!..
კარგ კაცობას მე ვინ მაპატიებს? —
ესეც ჩემი ბედის ირონია!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, თურმე რატომ მჩაგრავს ჩემი ცოლი!..

იუმორესკა

მე ქართელი კაცი გახლავართ. ქართელები რომ ქართველები ვართ, იმედია, ეჭვი არავის ეპარება. თუ ვინმე ეჭვობს, ვურჩევ ამ ხალხის აღმნიშვნელი სიტყვის „ქართ“ ფუძეს მიაქციოს ყურადღება და, დარწმუნებული ვარ, ყოველგვარი ეჭვი გაუქრება.

როგორც ამ ბოლო დროს ცნობილი გახდა, **საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ზოგიერთი ხალხი (აჭარლები, მეგრელები, სვანები და სხვები), ჩვენ რომ აქამდე ქართველები გვეგონა, თურმე სულ სხვა ჯურის ერები ყოფილან. შეგახსენებთ, რომ ეს საკავშირო პრესის ფურცლებზე უშეცდომოდ „დაამტკიცა“ ზოგიერთმა „მოღვაწემ“.**

სხვა ქართველებისა რა მოგახსენოთ, ჩემზე კი ამ აღმოჩენამ განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტიც, მან ბიძგი მომცა მე თვითონ გამეკეთებინა დიდი აღმოჩენა და დღემდე ჩემთვის აუხსნელი ზოგიერთი მოვლენაც სულ მარტივად ამეხსნა. მოგეხსენებათ, ყოველი გენიალური აღმოჩენა აღმოჩენის შემდეგ ძალიან უბრალოდ გამოიყურება და მანამდე გაუგებარ ბევრ მოვლენასაც მეტად ახლებურად და მარტივად ხსნის.

ახლა თვით ჩემი აღმოჩენის შესახებაც მოგახსენებთ: მე დავამტკიცე, რომ **არც იმერლები არიან ქართველები!** არ გჯერათ? ნუ ჩქარობთ! **რატომ უწოდეს ქართველებმა იმერლებს „იმერლები“? ცხადზე უცხადესია, რომ ისინი „იმ“, ანუ სხვა „ერის“ ხალხია!** ხომ ხედავთ, რა უცბად მოეფინა ნათელი ბნელ საქმეს? რა ვუყოთ, რომ იმერლები ქართულად ლაპარაკობენ. აჭარლებიც კი ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ, როგორც ზემოთაც გითხარით, მათი არაქართველობა საკავშირო მასშტაბითაა „დამტკიცებული“. საკვირველი მხოლოდ ისაა, თუ როგორ გამოეპარათ მხედველობიდან ამ საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტა ქართველ მეცნიერებს!

აი, უკვე დადგა დრო, ჩემი ცოლის შესახებაც გიამბოთ. დარწმუნებული ვარ, უკვე მიხვდით, რომ ჩემი ერთადერთი მეუღლე იმერელია. ცოლები რომ ქმრებთან ყოველთვის მართლები არიან, ეს მთელ მსოფლიოშია აღიარებული, მაგრამ იმერელი ერის მანდილოსნები ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან.

ცოლთან გამწვავებული ურთიერთობის მიზეზს დღემდე ვეძებდი და რომ ვერ ვპოულობდი, გაოგნებული დავდიოდი.

ახლა კი ჩემს მიერ გაკეთებულმა დიდმა აღმოჩენამ ამიხილა თვალები და ზუსტად დღევანდელობის შესაბამისად განვმარტე ეს მოვლენა. ეჭვს გარეშეა, რომ ერთა შორის ურთიერთობის გამწვავებამ ჩვენს ოჯახშიც იჩინა თავი.

აი, თურმე რატომ მჩაგრავს ჩემი ცოლი!

ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ მოვაგვარო ჩემს ოჯახში ნაციონალური საკითხი. მოგეხსენებათ, ერთა შორის ურთიერთობების გადაწყვეტა დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს!

ჰოდა, როცა ამ საკითხის გადაწყვეტაზე ვფიქრობ, მეც წინ ვიხედები.

ვიქტორ ჯაფიაშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.
(აბასთუმანი).

უსიტყვოდ

ქართული კარიკატურის სათავეებთან

გიგო ზაზიაშვილის დაბადების 120-ე წლისთავის გამო

ბიგი (ბრიგოლ) ზაზიაშვილი, რომლის დაბადებიდან, 13 ნოემბერს, 120 წელი შესრულდა, ერთ-ერთი პირველი ქართველი კარიკატურისტი იყო.

გ. ზაზიაშვილი ოფიციანტად მხატვარი გახლდათ. „ხელობა" მას მამამ — ივანემ ასწავლა. ივანე ნარმოშობით საინგილოდან იყო. თბილისში ზაზიაშვილების ოჯახი თავდაპირველად სონინის უბანში, ერთ პატარა სახლში დასახლდა. სწორედ აქ დაიბადა მათი პირველი შვილი, რომელსაც მშობლებმა გიგო დარქვეს. გიგოს უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა — იგი მან შეგონდებაში გაატარა. ცალხელა ივანე უბანში ბრების კარე დაწერად ითვლებოდა და ამასთან, ნარმოიდგინეთ, მთელ ქალაქში საუკეთესო მოკრიფის სახელი გაითქვა. 14 წლის გიგომ ზაზიაშვილები უკვე კუკიის უბანში (ცხოერობდნენ) მამის ხელობას მოაკიდა ხელი და მალე ისიც ბრების „ხატვა-წერის" საუკეთესო მოხელე გახდა.

ეს ნიკო ფირსმანს ისე მოსწონებია გიგოს ნამუშევარი, რომ შეამხანაგება შეუთავაზებია მისთვის. მალე ამბილა „ფუნჯის დუეტმა" ქალაქის ცენტრში ვალიამნიოვის (ახლანდელი დადიანის) ქუჩაზე საკუთარი სახელოსნო გახსნა. ასე იმუშავეს მათ მთელი ნელიზადი, სანამ უმ-

ცროსი კომპანიონი ტაძრების მოხატვამ და პორტრეტების შექმნამ არ გიიბაცა. ამ პერიოდში გიგოზე დიდი გავლენა იქონია უფროსმა გიგომ — რეალისტმა მხატვარმა გიგო გაბაშვილმა. ზაზიაშვილმა ტილოზე მუშაობისას მასავით თბილ ფერებს მიმპრავა და ბევრი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის საინტერესო პორტრეტი შექმნა.

40 წლის მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა ახლა კარიკატურაში სცადა ძალა და ნარმატებითაც. მომავალი კარიკატურისტი მასში ცნობილმა მწიგნობარმა და ბუკინისტმა სოსიკო მერკვილა-თემ ამოიცნო. სწორედ მან მიიყვანა გიგოსთან სახლში დიდი მგზავსი აკაკი ნერეთელი. აკაკის მხატვარს თავისი იუმორისტული ლექსის „ბენია და ბუმტიასათვის" მხიარული ილუსტრაციები მუდაკეთა. გიგომ ამ ეს სტუმრების თანდასწრებით ცხრაფად მოხაზა ფანქრით მომავალი კარიკატურის პერსონაჟები — „მეშოდგომის ანაუ-

ლი" ბუმტია და ეიაჯარი ბენია. აკაკის მოეწონა ექსპრომტ-ნახატი (შემდგომ ბენიამ და ბუმტიამ სხვადასხვა გამოცემათა — ჟურნალების, გაზეთების, ალმანახების — სახელწოდებები დამშვენეს), და ეს ზაზიაშვილს მუდმივი თანამშრომლობა შესთავაზა კარიკატურისტად მის მიერ ახალდაარსებულ „ხუმარაში". ეს იყო 1906 წლის დამლევს.

1907 წლის 11 თებერვალს მკითხველმა მიიღო პირველი ქართული ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი „ხუმარა" (შემდეგ იგი ჟურნალად გადაკეთდა). „ხუმარას" პირველი ნომრის ყდის ზაზიაშვილისეულ ნახატზე — გაზეთის სათაურზე შეჭიდებულ ბენია და ბუმტიას ქვემოთ მოთავსებულია მისივე მეორე ნამუშევარი — კარიკატურა, რომელსაც აკაკის იუმორისტული ლექსი ახლავს. კარიკატურაზე გამოსახულია სახედარი გუბერნატორ რაუმ-ფონ-ტრა-უბერბერგის ტახსაცმელში. და მისი მოკიშეე ქართველი მარშალი გ. ბაგრატონ-დავითაშვილი. იგი ნიშაფურს „ლესაგს" გულმოსული, „რომ აქ ალარსა დარჩეს იმ ვირის მზე და კვალი". ხეში მიპყავთ. სანდომიანი სახის აკაკი მშვიდად, მტკიცედ მიაბიჯებს ჯუჯა გენერლის მეთაღლეურობით; მეორესაც სდრა, რომ სიმარილე მის მხარეზეა და საბრალოა მალე ეფრს ქაბს.

იმავე წელს ყოველკვირეული იუმორისტულ-კარიკატურული ჟურნალი „ეკალში" დაბეჭდილ ნახატზე გამოსახულია ბუმტია, რომელიც ამათრახებს „ეშმაკს". იქვე მოთავსებულია ორსტროფიანი ლექსი:

„გარეხსული „ეშმაკი"
გეიეეეს, როგორც ფინია,
ჩვენ დაგეცინის, მარა თვით
უფრო დასაცინია.

მისი გულის ტაიეელი
მხოლოდ ორი გროშია,
მისი კუჭნი დიეცა
და მიგრამ ვეფს გროშია".

გიგო ზაზიაშვილს კიდევ ერთი კარიკატურაა დასტამბული იმავე ჟურნალში, გვერდით კი მოთავსებულია ლექსი, რომელსაც ხელს ამერს ვინმე „ნინოვნიკი":

„მიმაქრილებს, მიმაქრილებს
აქეთ-იქით ხალიჩაო...
დიდხანს ვმალე, მარა პოლის
საქმე ეუდად დამირჩაო!..
ნაქუჩდალი საქონელი
თავისთავად ეუდიაო:

პოლიციის მოხელეებს
არ შეარჩენს სუდიაო..."

სამმბილოსა და თავის ხალზზე უსაზღვროდ შეყვარებული მხატვარი გარდაიცვალა 1952 წლის 25 ივნისს თავისსავე მონა ქართული ეროვნული კარიკატურის გამდეთარეობაში.

მხატვარის ნამუშევრთა პერსონალური გამოფენა გახსნილია მისი მეგობრის ნიკო ფირსმანაშვილის მშობლიურ სოფელ მირზაანაში, ფირსმანის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარაზაში. ტრადიციული ფირსმანობის ზეიმზე ჩამოსულმა დიდი ინტერესით და მონონებით დაათვალიერეს გამოფენა, რომელზეც მხატგრის 50-მდე ნამუშევარია ნარმოდგენილი. ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატული „მმინდა ნიკოლოზის" ეკლესიის ერთ-ერთ საგალობელში.

გიგო ზაზიაშვილმა, ამ ნიჭიერმა ოფიციმოდგადმა მხატვარმა, მნიშვნელოვანი ნვლილი მეიტა-ლი — ფერნწერა და კარიკატურა.

გიგო ზაზიაშვილი „ხიბლის" ბენი სტუმარი იყო. ეს ფინი მაზელი სატრა ფიდ მოწონებას იმსახურებდა და ფლესაც სიამეს ჰკერის მეანხელ. გ. ზაზია-

ნელი ნოზაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც ამ სამმოქმედებიან პიესაში ხდება, შეიძლება მომხდარიყო ყველა ქვეყანაში და ყველა დროს, თუკი სათავეში დიქტატურა აღმოჩნდებოდა, დიქტატურა კი ყველგან საერთო ნიშნით ხასიათდება — ამ ნიშნების პაროდირებაა ეს პიესაც.

ბუფონადაში (ბ უ ფ ო ნ ა დ ა — მეტისმეტად კომიკური, სახუმარო წარმოდგენა) განზოგადებულია მეოცე საუკუნის საქართველოს 1918 წლიდან 1921 წლამდე პერიოდი. ავტორებმა შემოგვთავაზეს პიესის საჟურნალო ვარიანტი.

პ რ ო ლ ო გ ი

სცენა წარმოადგენს თეთრკედლებიან შენობას, რომელზეც მქრქალი ფერებით შესრულებული (თუ გახუნებული) წვერებიანი მამაკაცის პორტრეტი კიდია. კედლის წინ დგას თეთრსუფრაგადაფარებული გრძელი მაგიდა, რომელსაც 13 კაცი უზის (მარჯვენა მხარეს მსხდომთაგან ერთ-ერთი ნოე პირველია). თანამეინახენი საქმიანად და ხმადაბლა საუბრობენ (სიტყვები კარგად არ ისმის). ცამეტივე მამაკაცი თეთრ კოსტიუმებშია გამოწყობილი.

უცებ სცენაზე (მარცხენა მხრიდან) შემოიჭრება წითელი შუქი (მიხაკისფერი) და დაუწყებს ბრძოლას თეთრ შუქს. ხან თეთრი შუქითაა მოცული სცენის უდიდესი ნაწილი და ხან — წითლით. წითელ შუქში მოქცეული თეთრსამოსიანი ადამიანები შუქის წყალობით წითელსამოსიანებად გადაიქცევიან და შუქთა ბრძოლაში იღებენ მონაწილეობას — ვინც შუქის წყალობით წითლდება, შებრუნდება და თეთრებს უყვირის; თუ ისევ თეთრი შუქის წრეში მოხვდება, შემობრუნდება და, უკვე წითლებს უტევს და ასე რამდენჯერმე. კაცები ხმას ნელ-ნელა უწევენ. ბოლოს ყველანი უკვე ფეხზე დგანან და ერთმანეთს უყვირიან, ეჩხუბებიან (სიტყვები კარგად არ ისმის), საცემადაც იწევენ ერთმანეთზე.

ბოლოს და ბოლოს მიხაკისფერი შუქი სცენას ისე გაყოფს, რომ თანამესუფრეთაგან შვიდი მის წრეში მოხვდება. ორად გაყოფილი და ორ სხვადასხვა ფერში მოქცეული ადამიანები ჯერ შუქით ორად შეფერილ პორტრეტს ეცემიან და შუაზე გაგლეჯენ (მარჯვენა ნახევარი თეთრებს მიაქვთ, მარცხენა — მიხაკისფრებს), შემდეგ სუფრას დაეჭიდებიან, აქეთ-იქით გაწევაში სუფრა გადაიხევა და თითოეული ჯგუფი სუფრის მოპოვებულ ნახევარს დროშად ააფრიალებს. ორივე დროშაზე ერთი და იგივე ლოზუნგია დაწერილი: „ჭეშმარიტება ჩვენს მხარესაა — ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ბოლოს მაგიდასაც ეძგერებიან, შუაზე გახლეჩენ და თავ-თავის ნახევარს კულისებამდე მიათრევენ, სადაც ზარბაზნის ლაფეტებად თუ ბარიკადებად აქცევენ და ერთმანეთს სროლას დაუწყებენ. შ უ ქ ი ქ რ ე ბ ა.

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს დიდი ქალაქის ხალხმრავალ რკინიგზის სადგურს. მატარებლის მოლოდინში ერთმანეთს ესაუბრებიან ევროპულ და ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები. ბაქანის ერთ-ერთ კუთხეში სამხედრო სასულე ორკესტრია. ბაქანზეა რამდენიმე რიგითი პოლიციელი და შპიკი. შპიკები დაძვრებიან ხალხში, ხან ერთ ჯგუფს მიუგდებენ ყურს, ხან — მეორეს, შემდეგ მოირბენენ ხოლმე და პოლიციელებს რაღაცას ჩასჩურჩულებენ. შემოდის პოლიციის ოფიცერი საპატიო ფორმით.

პ ო ლ ი ც ი ი ს ო ფ ი ც ე რ ი (პოლიციელებს): **მეზობელი სადგურიდან გვაცნობეს — სწორედ ამ მატარებლით ჩამოდის ნოე. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავაკავოთ და გგხერალ-გუბერნატორთან მივიყვანოთ! ამ ოპერაციას ორი სირთულე ახლავს: ერთი — რომ ნოეს დაპატიმრება არ შეიძლება ბაქანზე, რადგან ეს ხალხის მღელვარებას გამოიწვევს, ამიტომ იგი უნდა შევიპყროთ სადმე მყუდრო ადგილას, და, მეორე — შეიძლება გაჭირდეს ნოეს ცნობა; ჩვენ მიერ მოცემული ფოტოები ალბათ ვერ დაგეხმარებათ. არ არის გამორიცხული, ნოე გრიმში იყოს!..**

პოლიციის ოფიცერს სიტყვას ორთქლმავლის საყვირი აწყვეტინებს. შემოდის მატარებელი წარწერით „უცხოეთი — სამშობლო“. ორკესტრი უკრავს მელოდიას „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო!..“ სტუდენტები აფრიალებენ ტრანსპარანტს — „გაუმარჯოს სამშობლოს თავისუფლების შანსს!“ ხალხის თავზე ჩნდება ლოზუნგები „პატარა სამშობლო დიდია!“, „სამშობლოო!!!..“ ხალხი მიაწყდება მატარებელს. დამხვდურები და ჩამოსულები დიდი აჟიოტაჟით ხვდებიან ერთმანეთს. ვაგონის ფანჯარას მომდგარი ქალი უყვირის მებარგულებს უცხოური აქცენტით.

ლ ა მ ა ზ ი ქ ა ლ ი: ფრთხილად, ფრთხილად, ხელიდან არ გაგივარდეთ!

ვაგონის ფანჯრიდან მებარგულები ქვევით მდგომებს გადმოაწოდებენ ხის ვეება კიდობანს, რომელსაც კუთხეში დიდი ასოებით აწერია „ნ ო ე“.

პ ო ლ ი ც ი ე ლ ე ბ ი: ნოე!

ხ ა ლ ხ ი (ერთხმად): ნოე?

ამასობაში მებარგულებს ხელიდან გაუვარდებათ კიდობანი, ლამაზი ქალი შეჰკივლებს. კიდობანს სახურავი აეხდება და კიდობანში წამოიმართება ფრაკში გამოწყობილი თეთრთმიანი, მოკლედ შეკრეჭილი, თეთრწვერიანი, მორჩილი ტანის სიმპათიური მამაკაცი. ის ჯერ შიშით მიმოიხედავს, მერე, ამდენ ხალხს რომ დაინახავს, წელში გაიმართება და საკუთარი თავის გასამხნევებლად შესძახებს.

ფ ს ე ვ დ ო ნ ო ე: მოხდეს, რაც მოსახდენია! კმარა ამდენი ბნელში ჯდომა! გაუმარჯოს სინათლეს! გაუმარჯოს თავისუფლებას!

პოლიციელები და შიკრიკები დაფრთხებიან, სტუდენტები „ვაშას“ ძახილით მიეჭრებიან კიდობანს, ხელში აიტაცებენ ფსევდონოეს და დაუწყებენ ჰაერში აგდებას. სამხედრო ორკესტრი ტუშს უკრავს.

ფსევდონოეს ცოლი გამოვარდება ბაქანზე, ტირის, ტანზე ავსტრალიის დროშის მაგვარი გრძელი კაბა აცვია.

ფ ს ე ვ დ ო ნ ო ე ს ც ო ლ ი: მაპატიე, მაპატიე, რომ ვერ გაფასებდი, რომ ერთი უბრალო, ხელმოცარული ემიგრანტი მეგონე!..

ფ ს ე ვ დ ო ნ ო ე (ჰაერში აგდებისას): **არც დედაშენი მაფასებდა...**

ფ ს ე ვ დ ო ნ ო ე ს ც ო ლ ი: როგორ ყვარებიხართ შენს სამშობლოში!.. უკან რომ დავბრუნდები, დედაჩემსაც და პრემიერ-მინისტრსაც ვუამბობ ამას!

ფ ს ე ვ დ ო ნ ო ე (უკვე შიშშეპარული ხმით): **ხომ ხედავ, როგორი აგდება იციან ჩვენში!**

მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ჯ გ უ ფ ი (სტუდენტებს): **ჩვენც გვასროლინეთ!..**

ს ტ უ დ ე ნ ტ ებ ი: თქვენ რატომ უნდა ისროლოთ?!

მ ო ს წ ა ვ ლ ე გ ო გ ო ნ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ი (სტუდენტებს): **არ დაუთმოთ ბურჟუებსა და არისტოკრატებს ჩვენი თავისუფლების მაცნე!**

პ ო ლ ი ც ი ი ს ო ფ ი ც ე რ ი: დეკილუპეთ, ეს რევოლუციაა!

ს ტ უ დ ე ნ ტ ებ ი (ერთმანეთს): **სროლაში გვეცილებიან: გამოდის, რომ ჩვენ სწორად ვისროდით, არ დავუთმოთ!**

მოქალაქეები ძალით გაერევიან სტუდენტებში, უნდათ, რომ მონაწილეობა მიიღონ ფსევდონოეს აგდებაში. ერთ-ერთი ასროლის დროს ფსევდონოეს ნაცვლად ჩამოვარდება სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გიორგი. ბრბო გაიშლება. ფსევდონოეს ცოლი შეჰკივლებს.

ბ რ ბ ო (გიორგის): **შენ ვინ ხარ?**

გ ი ო რ გ ი: გიორგი!

ბ რ ბ ო: ის ბელადი რა იქნა, ჩვენ რომ ვისროდით?

პ ო ლ ი ც ი ე ლ ე ბ ი: გაიქცა! მაინც გაგვისხლტა ხელიდან!

პ ო ლ ი ც ი ი ს კ ო მ ი ს ა რ ი: მოძებნეთ, ახლავე მოძებნეთ! რადაც უნდა დაგიჯდეთ, უნდა იპოვოთ ნოე! გესმით, უნდა იპოვოთ!..

ხალხი და პოლიციელები იფანტებიან. ფსევდონოეს საძებრად. ნოეს ცოლი კიდევ ერთხელ შეჰკივლებს და არაბუნებრივ პოზაში გაშეშდება.

გიორგი: სად მიდიხართ? მე ხომ თქვენმა სიყვარულმა მოგიყვანა!..

პოლიციის ოფიცერი: ნუ ღელავთ, ბატონო გიორგი, თქვენი ჩამოსვლის მიზეზებსა და მიზნებზე ჩემს კაბინეტში ვისაუბროთ! (პოლიციელებს) წამოიყვანეთ!

დაპატიმრებული გიორგი გაჰყავთ. სცენაზე რჩებიან მხოლოდ ფსევდონოეს არაბუნებრივ პოზაში გაშეშებული ცოლი და ბალანზე დაგდებული კიდობანი, რომელიც ახლა კუთხით ჩანს მაყურებელთა დარბაზიდან და რომელზედაც უკვე გარკვევით იკითხება ქალაქის სახელი „ნ ო ე ბ ურ გ ი“, კიდობნის კუთხით გაყოფილი „ნ ო ე“-დ და „ბ ურ გ“-ად. შუქი ქრება.

სურათი მეორე

ნახევრად ჩაბნელებული სცენა წარმოადგენს არისტოკრატიული ბინის კაბინეტს. სცენის მარჯვენა მხარეს ფანჯარაა, ფანჯრის მახლობლად — მასიური საწერი მაგიდა ფრანგული ბაროკოს სტილში, კედელთან — ასეთივე დივანი, ორი სავარძელი და პატარა მაგიდა, დივანსა და მაგიდას შორის — ვენერა მილოსელის ქანდაკების თაბაშირის ასლი, დივანის თავზე — პორტრეტი (ალბათ გვარის წინაპრის). სცენის დანარჩენი მესამედი დაკავებული აქვს წიგნების უზარმაზარ კარადას. ნოე V შტატივზე დამაგრებული დიდი ჭოგრიტით იყურება ფანჯრიდან. მაგიდასთან მიირბენს ხოლმე, რაღაცას დაწერს და ისევ ჭოგრიტს უბრუნდება. უცებ კარებზე დარეკავს ზარი. ნოე V თვალს ვერ წყვეტს ჭოგრიტს, ზარი მეორდება...

ნოე V: არ დაგაცლიან კაცს საქმის კეთებას!.. (კარს აღებს).

არაბუნებრივად მოკლე ნაბიჯებით შემოდის ფსევდონოეს ცოლი და შუა ოთახში გაჩერდება. ნოე V კარს გადარაზავს.

ნოე V: თქვენ ვინა ხართ, ასეთი ლამაზი?

ფსევდონოეს ცოლი: მიშველეთ, გევედრებით, მიშველეთ! სულ ახლახან უქმროდ დავრჩი!..

ნოე V: კარგია, ძალიან კარგია! მერე?

ფსევდონოეს ცოლი: მერე კაბის ქვეშ რაღაც ეშმაკი შეიძვრა და პირდაპირ თქვენთან მომიყვანა!.. მიშველეთ!

ნოე V: და არც შემცდარხართ!.. მხოლოდ მე შემიძლია თქვენი შველა (იხდის და ტახტზე აგდებს მდიდრულ ხალათს), **მხოლოდ მე, პარიზისა და პეტერბურგის ელიტას ნაზიარებმა კაცმა, ვიცი ამ დანყვლილ პროვინციაში თქვენნაირი ქალის ფასი** (მიუახლოვდება, ერთ ხელს იღლიაში გაუყრის, მეორეს წელსქვემოთ მოსდებს, ჰაერში აიტაცებს და დივანისკენ შებრუნდება. ქალის ჰაერში ატაცებისას მისი კაბისქვემოდან გამოჩნდება იატაკზე მჯდომი ნოე II-ის ფიგურა).

ნოე II (ამოიღმუვლებს): **თავისუფლება!**

ნოე V-ს უცხო ხმის გაგონებაზე დივანამდე მიყვანილი ქალი ხელიდან გაუვარდება, მობრუნდება.

ნოე V: თქვენ?! აქ როგორ გაჩნდით?!

ნოე II: ფანჯარა, სად არის ფანჯარა!.. სული მეხუთება!

ნოე V მიიყვანს ნოე II-ს ფანჯარასთან და სარკმელს გამოაღებს. ნოე II მალე გონს მოვა და გარეთ რაღაცას დააკვირდება.

ნოე II: ბატონო ჩემო, თვალი ხომ არ მატყუებს, თქვენს პირდაპირ ფანჯარაში შიშველი ქალია?

ნოე V: ნოე ბატონო, აი ამ ჭოგრიტით უკეთ შეგეძლებათ დაკვირვება!

ნოე II (გაიხედავს ჭოგრიტში): **და!.. მშვენიერებაა!.. თუმცა ეს ჭოგრიტი, ვგონებ, აქ მთლად შემთხვევით არ უნდა იდგეს** (ირონიულად)!

ნოე V: არ ცდებით, სწორედ მაგ ფანჯარაზე დაკვირვებაში შემიშალეთ ხელი თქვენი მოულოდნელი, მაგრამ სასიხარულო გამოცხადებით.

ნოე II: როგორ?! თქვენ, პარტიის აღიარებული თეორეტიკოსი, მისი გონება და სინდისი, შიშველი ქალის თვალიერებაში კარგავთ ძვირფას დროს?! ნუთუ თქვენ მიმდინარე მომენტის ისტორიულობის განცდა დაკარგეთ?!

ნოე V: არამც და არამც!.. მე თქვენს ადგილას უფრო ყურადღებით დავაკვირდებოდი მაგ მობანავე ქალის ფიგურას.

ნოე II (კვლავ ჭოგრიტისკენ იხრება): **მე მესმის, თქვენი, თქვენ ფრანგულ მხატვრობაზე გაზრდილი ბრძანდებით!.. ფეხები მართლაც საოცარი ნაკვეთობისა აქვს, განსაკუთრებით მუხლებს ზემოთ!..**

ნოე V: აბა, ცოტა ზემოთ ააყოლეთ თვალი! ვერც ახლა მიხვდით საიდუმლოს?

ნოე II (ჭოგრიტს თვალს არ აშორებს): **დიახ, დიახ. იქ ზემოთ და ცოტა უკან, აი, სადაც ფეხები მთავრდება... იქ არის რაღაც საოცრად მიმზიდველი... უნაკლო სფეროსმაგვარი... დიახ!..**

ნოე V: არა, კიდევ უფრო ზემოთ შეხედეთ!

ნოე II: ახლა კი ყველაფერს მივხვდი. მართლაც საოცარია, ბიუსტჰალტერი არ აცვია და მკერდი მაინც როგორ უდგას!.. თქვენი გემოვნება მართლაც რომ სანიმუშოა!

ნოე V: მე გთხოვდით, კიდევ უფრო ზემოთ მიგემართათ ჭოგრიტი!..

ნოე II: სახეზე, ხომ? სახე მართლაც რომ მზეთუნახავი ყოფილა. რა მომხიბლავი სახეა და რა ნაცნობი!.. სახე!.. მოიცათ, ეს ხომ მარიაა, მემარცხენეების ლიდერი სახალხო განათლების დარგში?

ნოე V: ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

ნოე II: სირცხვილი თქვენ, რომ ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეზე გრჩებათ თვალი!.. მეც როგორ გავბრიყვდი!.. ასეთი საქციელი სწორედ რომ არ გეკადრებათ, ყმანვილო!..

ნოე V: ნუ ცხარობთ, ბატონო ნოე, თქვენ უკვე იცით, ვის ვაკვირდებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცით, რატომ!..

ნოე II: მაგას როგორმე ვხვდები!..

ნოე V: თქვენ ისევ ჩქარობთ. აბა, ახლა იმას დააკვირდით, რას აკეთებს!

ნოე II: რას უნდა აკეთებდეს ტიტველი ქალი აბაზანაში (მაინც იხრება ჭოგრიტისკენ). **რაა? წერს?**

ნოე V: დიახ და სწორედ ეგ ნაწერი არის ჩემი ცხოველი ინტერესის საგანი. ქალბატონ მარიას დასცხა და გადაწყვიტა თავისი კერპის ჟან პოლ მარატის მსგავსად მასაც აბაზანაში დაეწერა ახალი სტატია, მიმართული სახალხო განათლების ჩვენეული პროგრამის წინააღმდეგ. თუ ჭოგრიტის ფოკუსს შეცვლით, ტექსტსაც ადვილად გაარჩევთ.

ნოე II: გიქებთ იდეურ სიფხიზლეს და უკან მიმაქვს წელანდელი ჩემი სიტყვები.

ნოე V: მისი სტატია ვერ გამოქვეყნდება, სანამ მათ ცენტრალური კომიტეტი საგანგებოდ არ შეისწავლის და დაბეჭდვის სანქციას არ მისცემს. ამას ერთი კვირა მაინც დასჭირდება. ჩვენ კი ამ სტატიის ძირითადი დებულებები უკვე ვიცით და ხვალინდელ გაზეთში შეგვიძლია საკადრისი პასუხი გავცეთ, ვთქვათ, ასე: „ჩვენს ოპონენტებს შეუძლიათ ამის საწინააღმდეგოდ წამოაყენონ ასეთი მოსაზრება“, შემდეგ მოვიტანთ მათ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ დებულებებს და იქვე გავაკამტვერებთ და ასე ყველა პუნქტზე ცალ-ცალკე.

ამასობაში უყურადღებობით განაწყენებული, დივანზე მისვენებული ფსევდონოეს ცოლი ადგება და ოთახიდან გასვლისას კარებს გაიჯახუნებს. ხმაურზე ნოეები მობრუნდებიან, მაგრამ ამავე დროს სანერ მაგიდაზე აინთება წითელი შუქი და გაისმება ზარის გაბმული წკრიალი. ნოე V მივარდება წიგნის კარადას და ღილაკს დააჭერს ხელს. წიგნის კარადის ნაწილი გაიწევა და გამოჩნდება საიდუმლო კარი, რომელსაც ორი ნული ანერია. ნოე V გამოაღებს ამ კარს და გამოჩნდება ტუალეტის განათებული ოთახი. ზარის გაბმული ხმა შეწყდება და უნიტაზიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოძვრებიან ნოე I, ნოე III, ნოე IV, ნოე VI და ნოე VII. ყველანი დივანსა და სავარძლებზე მოთავსდებიან.

ნოე I: იცით, კაცო, რას გვეტყვით, ჩვენ არა?! ჩვენ ჩვენი სიტყვა ვთქვით კონსპირაციის მსოფლიო ისტორიაში და მე მოვითხოვ ეს ოქმში ჩაიწეროს! ჩვენი მომგნები, არა?! ჩვენს მეტი არავინ იქნება... კი... (ყველანი ნამოიჭრებიან და ტაშს უკრავენ). **ეს დიდი საქმეა** (კვლავ ტაში)...

ნოე III: ბატონებო, ჩვენმა გენიალურმა ბელადმა საქმისაკენ მოგვიწოდა. მე მოვითხოვ, ოქმში შევიტანოთ მისი ეს აფორიზმი — „სიტყვა საქმეა, მაგრამ საქმე კიდევ უფრო დიდი საქმეა!“, რათა შთამომავლობას არ დაეკარგოს კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი მასწავლებლისა და თანამებრძოლის მიერ შეტანილი რევოლუციური გარდაქმნის კიდევ ერთი საეტაპო წვლილი და საქმეს დავუბრუნდეთ! დღეს ცენტრალური კომიტეტის წინაშე განსაკუთრებული და გასაიდუმლოებული მისიის შესახებ ანგარიშით ნარდგება ბატონი ნოე II. გთხოვთ!

ნოე II: ბატონებო! როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ბატონ ნოე პირველის დავალებით მე დამეკისრა ისტორიული მისია, კავშირი დამემყარებინა სამშობლოს ნაციონალურ-რევოლუციურ პარტიასთან და მეწარმოებინა მოლაპარაკება მის მიერ ჩრდილის ტბის ზონაში გახსნილი ყუმბარების ქარხნის პროდუქციის ჩვენთვის გადმოცემის შესახებ.

მათი მხრიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა პარტიის ლიდერი თავადი რევაზ აბაშვილი, რომელმაც ასეთი წინადადება წამოაყენა: ა) ჩვენს პარტიას მონაწილეობა მიეღო ქარხნის დაფინანსებაში; ბ) ქარხანაში ემუშავათ ჩვენი პარტიის წევრ ინჟინრებსა და მუშებს; გ) მიგვეცა გარანტია, რომ ჩვენს წილ ყუმბარებს არ გამოვიყენებდით სამშობლოს წინააღმდეგ!..

ნოე I: აღმაშფოთებელია!.. მათ უნდათ თვალში ნაცარი შეაყარონ ევროპას!

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ნახ. მ. აბაშიძისა



— შენც იხმარე ხერხი, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებით!

კომბოსტო ნაგვისაყრელზე!



ფელეტონი

ზამთრის მოძალებისას, როცა **ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარში** კომბოსტოს ფასი ორ მანეთამდე ავარდა, მომხმარებლები იმედის თვალით შეჰყურებდნენ **„ხილბოსტანვაჭრობის“** ობიექტებს: — აჰა, საცაა ათკაპიკიანი კომბოსტოც გამოჩნდება, მდგომარეობას შეგვიმსუბუქებს, ბაზრის ფასიც დავარდება და ალბათ ფულზე მადაალესილი მავანი და მავანი გულში ჩაიხედავსო, — ფიქრობდნენ ოპტიმისტები.

მაღაზიებში მართლაც რამდენჯერმე დაახვავეს ყველასათვის სასურველი ბოსტნეული. გაჩნდა რიგები, მაგრამ გადარჩეულ ორმანეთიან კომბოსტოსთან შედარებით გაჭიანურებული ტრანსპორტირებით ნათრევი, ისედაც დაბალხარისხიანი, უხეიროდ დატვირთულ-გადმოცლილი და მიყრილ-მოყრილი პროდუქტი მეტად მოკრძალებულად რომ გამოიყურებოდა, ამის უარყოფა არავის შეეძლო. ბუზღუნებდნენ მყიდველები, გამყიდველები. ჩუმად, ირონიულად ქირქილებდნენ ბაზრის კაცები. მაინც იმათ ჯიბრზე სახელმწიფოს კომბოსტო მიდიოდა, იყიდებოდა... თუმცა ნაწილი რჩებოდა, ფუჭდებოდა, მეეზოვეს, დამლაგებელს ზედმეტ ტვირთად აწვებოდა.

ერთ დღეს კი მრავალათასიან მომხმარებელს, მათ შორის ყველაზე ოპტიმისტებსაც, იმედი ლამის გადაეწურათ: **1988 წლის 12 დეკემბერს ზუგდიდის „ხილბოსტანვაჭრობის“ ცენტრალური საწყობის ეზოში მოულოდნელად გაჩნდა მრავალი ათასი კომბოსტოსაგან შემდგარი მოთეთრო ფერის ბორცვი.** ამ საოცარი და უეცარი „ქმნილების“ მიზეზი უმალ გაირკვა: **კასპის „საქსოფლდამზადების“ გაერთიანებამ ზუგდიდში გამოგზავნა 39 ტონა, ანუ 3900 მანეთის ღირებულების გაფუჭებული კომბოსტო,** რომელსაც, შესაფერის ტერმინს თუ ვიხმართ, ყოველგვარი სასაქონლო სახე ჰქონდა დაკარგული!..

ფაქტზე შედგა აქტი ადგილობრივი შესაბამისი ორგანიზაციების სპეციალისტების მიერ ქუთაისის სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლის მონაწილეობით. აქტი კი შედგა, მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტი, რაც არც აქტშია, არც სხვა დოკუმენტებში: **ზუგდიდის „ხილბოსტანვაჭრობის“ შემოგარენში დაყრილი ათობით ტონა კომბოსტო ზამთრის დამდეგს, ეგრეთ წოდებული ეკონომიკური პიკის დროს, დაიყარა ქალაქთან ახლომდებარე სპეციალურ ნაგავსაყრელზე, რასაც ტრანსპორტისა და მუშახელისათვის საჭირო გაუთვალისწინებელი თანხები მოხმარდა.**

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამაზე კასპელი დამამზადებლები, მათი ხელმძღვანელები? ყოველ შემთხვევაში მათ უნდა ვურჩიოთ: თუ კიდევ გააგზავნიან (განრიგით ასე იქნება ალბათ) ზუგდიდში ან სხვა ქალაქებში კომბოსტოს, ნაგავსაყრელზე მისი გადაყრისათვის აუცილებელი სახსრებიც თან გააყოლონ!

ანზორ ბარამია,

„ნიანგის“ კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

09-ის ქალი 03-ის ბიბლიოთეკა

პატივცემულო აბონენტებო! ვთქვათ, ტელეფონით საჭირო პირის ძებნა დაგჭირდათ. ვიდრე ყურმილს აიღებდეთ და 09-ს აკრეფდეთ, სასურველია გაისინჯოთ არტერიული წნევა, დაითვალოთ მაჯისცემა და მედიკამენტებიდან სულ მცირე — ვალიდოლი მაინც მოიმარჯვოთ! თუ ყველაფერი რიგზეა და განწყობილებაც ხელს გიწყობთ, ღრმად ამოსუნთქვის მერე შეგიძლიათ შეუდგეთ რეკვას! როგორც კი ბედი გაგიღიმებთ და ქალის მკვახე ხმას გაიგებთ, მაშინვე სხაპასხუპით უნდა მიაყაროთ, ვისი ტელეფონის ნომერიც აინტერესებთ, იმისი გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი! იგივე მკვახე ხმა გიპასუხებთ: „პოდოუდიტე!“ თქვენ სულგანაბული უნდა ელოდოთ! ლოდინი იმდენ ხანს გასტანს, რამდენ ხანსაც გაუძლებთ! ჰოდა, მაგრად უნდა იდგეთ! აქ ერთდროულად ორი საქმე კეთდება: პირველი — სასურველი ტელეფონის ნომრის გაგება (უფრო სწორად, გაგების მცდელობა) და მეორე — თქვენი ნერვული სისტემის შემოწმება! პირველი დამოკიდებულია მეორეზე. ჯაჭვური რეაქცია მიმდინარეობს. მოთმინება, მოთმინება! — ეუბნებით თქვენს თავს. ყურმილი ყურთან თანდათან ცხელდება, მაგრამ მაინც სულგანაბული ელით პასუხს! არსაიდან ხმა! ის-ისაა ყურმილი უნდა დაახეთქოთ ტელეფონის აპარატს, მაგრამ გახსენდებათ იმპორტული აპარატისათვის განეული ჯაფა, ძისი ღირებულება, ამიტომაც თავს იკავებთ! ფიქრებში დრო გადის, ყურმილში გაისმის ტ უ, ტ უ, ტ უ!..

არამც და არამც არ ამტვრევთ აპარატს იმიტომ, რომ კიდევ გსურთ დარეკოთ! კვლავ აკრეფთ 09-ს!.. დაკავებულია!.. გეუფლებათ სპორტული ყინი, გინდათ როგორმე დაელაპარაკოთ ისევ იმ ქალს, ვინც დაგაკარგვინათ ამდენი დრო, ვინც გითხრათ: „პოდოუდიტე!“ იცდით, ითვენთ, მოწადინებული კრეფთ 09-ს, მაგრამ ახლა ყურმილში აშკარად სხვა ქალის ხმა ისმის: „ალო!“ თქვენ კვლავ ნერვულობთ, მაგრამ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ, საჭიროა თავშეკავება!

— ქალბატონო, იცით რა!.. — გინდათ აუხსნათ, გააგებინოთ თქვენი გაჭირვება, მაგრამ კვლავ ტ უ, ტ უ, ტ უ!..

ილაჯგაწყვეტილი, ნერვებდაწყვეტილი, მისავათებული და ხელჩაქნეული საბოლოოდ ცდით ბედს და 09-ის მაგიერ 03 გიპასუხებთ: „სკორაია!“

ახლა კი მართლაც რომ ბედი გქონიათ!..

ქანი სიხარულიძე

წერილების კვალდაკვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის იანვარში **სოფელ ყარსუბნიდან** „ნიანგის“ რედაქციაში შემოსული წერილის პასუხად **სახალხო დეპუტატთა ლაგოდეხის რაიონული საბჭოს აღმასკომი** გვაცნობებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სასმელი წყლის ნაკლებობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. სოფლის განაშენიანების დროიდან დღემდე მოსახლეობა ძირითადად სარგებლობს ხელოვნურად გაკეთებული ჭებით, სახლებშიც წყლის დებეტი ძირითადად გრუნტის წყლების მარაგზეა დამოკიდებული. სასმელი წყლით მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით კოლმეურნეობის მიერ გაღებულ იქნა გარკვეული ოდენობის თანხა, რომელიც ჩაირიცხა წილობრივი მონაწილეობით სარაიონთაშორისო კოოპერირებული წყალმშენის გამგეობის საბჭოს ანგარიშზე.

ამჟამად სოფელ ყარსუბნის ყველა ქუჩაში დამონტაჟებულია წყალგამტარი მილები და დადგმულია წყლის ონკანები. სოფლის მოსახლეობის წყლით დაკმაყოფილება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში.

* * *

„ქ. ცხაკაიაში ლენინის ქუჩა კეთილმოუწყობელია“. — გვწერდნენ **ქ. ცხაკაიას მცხოვრებლები.** წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა **სახალხო დეპუტატთა ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს,** საიდანაც გვიპასუხეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ხანგრძლივი წვიმებისა და დიდთოვლობის შედეგად ქალაქის ქუჩები საგრძნობლად დაზიანდა, რის გამოც ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობა შეფერხებული იყო.

ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რაისაბჭოს აღმასკომის 1989 წლის 14 თებერვლის №38 გადაწყვეტილებით გამოცხადდა გზების კეთილმოწყობის ორთვიური. ორთვიურის პერიოდში ქალაქის სხვა ქუჩებთან ერთად ლენინის ქუჩის კეთილმოწყობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, მისი საბოლოოდ მოწესრიგება მაისში დამთავრდება.

* * *

„დიდი დილმის დასახლებაში ქუჩები გადათხრილია, არის რამდენიმე ღია ჭა, არ არის განათება და ყოველივე ეს საშიშროებას უქმნის როგორც ქვეითად, ასევე ტრანსპორტით მოსიარულე მგზავრებს, მიკრორაიონში არ შემოდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი“. — გვწერდნენ **დიდი დილმის დასახლების მცხოვრებნი.**

სახალხო დეპუტატების საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომმა ყოველივე ამის თაობაზე მოგვწერა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია, დიდი დილმის დასახლებაში მიმდინარეობს შიდაკვარტალური გზების მოასფალტება; გარე განათების ნაწილი, რომელიც მშენებელთა მიერ ჩაბარდა, ამჟამად ფუნქციონირებს, ხოლო დარჩენილი ნაწილის ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად და დაწესდება მასზე კონტროლი. შემოწმების შედეგად აღმოჩენილი რამდენიმე ღია ჭა დახურულ იქნა შესაბამისი სამსახურის მიერ. მიკრორაიონში ტრანსპორტის შესვლის საკითხი შიდაკვარტალური გზების მოასფალტების დამთავრების შემდეგ გადაწყდება.

„ნიანგს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსი ზირუზ სპანდერაშვილი:

„თქვენი ჟურნალის 1989 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ყოფილმა ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა რეორგანიზაციამდე ქალაქ ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნისაგან შეიძინა სამი ცალი ტრაქტორი 10530 მანეთისა და 64 კაპიკის ღირებულებისა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტს არ გააჩნდა დაფინანსების საშუალებები, დროულად ვერ იქნა გადახდილი მომწოდებლის დავალიანება.

რაც შეეხება ქ. ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის განცხადებას, რომ დღემდე გადაუხდელია დავალიანება, არ შეეფერება სიმართლეს, ვინაიდან შეიქმნა თუ არა სათბობის სახელმწიფო კომიტეტი, განხილულ იქნა ყველა მომწოდებელი ორგანიზაციის დავალიანების საკითხი და მათ შორის ქ. ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნისათვის გადახდილ იქნა 1988 წლის 13 დეკემბერს 11887 მან. 84 კაპ. — 10530 მან. და 64 კაპ. ტრაქტორების ღირებულება და 1357 მან. 20 კაპ. ბანკის საურავი მომწოდებლის სასარგებლოდ დავალიანების დაგვიანებით ანაზღაურებისათვის“.



№ 344
21.VI 1989

89-399

ნახ. მ. აბაშიძისა



— კარგი დეფიციტური საქონელი თუ გინდათ, შინ მომაკითხეთ!



სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“ № 11 (1789) ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 3. 05. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 06. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1020. უე 09332. ტირაჟი 130000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.